სერტიფიცირებული ტრენერთა-ტრეინინგი (ToT)

"ინოვაციები და სამეწარმეო პროგრამები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში"

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პარტნიორი უნივერსიტეტის სტატუსით, კილის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი) თანამშრომლობით, მონაწილეობს ბრიტანეთის საბჭოს მიერ გამოცხადებულ პროგრამის „შემოქმედებითი ნაპერწკალი: სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის“ მე-2 წლის პროექტში.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, პროექტის ძირითადი სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით, დაგეგმილია **სერტიფიცირებული ტრენერთა-ტრეინინგი (ToT)** სახელწოდებით **"ინოვაციები და სამეწარმეო პროგრამები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში"**.

ამ მიზნით **სტუ-ს ინოვაციების ცენტრი** აცხადებს კონკურსს ტრენერთა-ტრენერის ტრეინინგის (ToT) მონაწილეთა ვაკანსიაზე.

ტრეინინგის მიზანია უნივერსიტეტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სტუ-ს სასწავლო პროგრამებში მეწარმეობის კურსების განვითარება და შესაბამისი კვალიფიკაციის ტრენერებისა და მოდერატორების მომზადება, რათა მათ მიღებული ცოდნა და გამოცდილება შემდგომში გაუზიარონ კოლეგებს, სტუდენტებს და გამოიყენონ პროექტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში ან თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში.

აღნიშნულ ტრეინინგ-კურსებზე სტუ-ს თანამშრომლებისათვის გათვალისწინებულია 5 ადგილი. ტრეინინგები დიდი ბრიტანელი პარტნიორების ხელმძღვანელობითა და მოდერაციით ჩატარდება სტუ-ში 2019 წლის 19-21 ნოემბერს. კანდიდატების შერჩევა ხორციელდება სპეციალური საკონკურსო კომისიის მიერ, საკონკურსო მოთხოვნების საფუძველზე.

განაცხადები მიიღება 10 ნოემბრამდე.

ტრეინინგში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გაიარონ ონლაინრეგისტრაცია.

საკონკურსო მოთხოვნები და შერჩევის კრიტერიუმები:

1. სტუ-ს აკადემიური ან ადმინისტრაციული პერსონალი;
2. ინგლისური ენის ცოდნა იმ დონეზე, რომ მათ ტრეინინგის მიმდინარეობისას შეძლონ აქტიური მონაწილეობა პროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებში;
3. კანდიდატი, რომელიც შეირჩევა კონკურსით, ვალდებულია ტრეინინგიდან 4 თვის განმავლობაში სულ მცირე 1 სტუდენტური ჯგუფი (პროექტი) მოამზადოს პროექტის ეგიდით.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროექტის ინსტიტუციურ კოორდინაციას ერთობლივად ანხორციელებენ სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური და სტუ-ს კომერციალიზაციის დეპარტამენტი. ტექნიკურ უნივერსიტეტში პროექტის მთავარი პარტნიორია სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა და სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი.

ღონისძიებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ **სტუ-ს ინოვაციების ცენტრს** (საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური. სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსი, II სართული, ოთახი N221; ოთახი N223) ან სტუდენტურ თვითმმართველობას.

კითხვების ან საკონსულტაციო შეხვედრების სურვილის შემთხვევაში მოგვწერეთ: innovations@gtu.ge ან დაგვირეკეთ ტელ.: 2 36 51 29